როდის და როგორ ვასწავლოთ ევროინტეგრაციის საკითხები საბაზო საფეხურის მოსწავლეებს?

ავტორი/ავტორები	*ნინო გვარამაძე*
სამიზნე აუდიტორია	**საბაზო საფეხურის მოქალაქეობის მასწავლებლები**
პრაქტიკული გამოყენება	**ევროინტეგრაციის საკითხების სწავლება საბაზო საფეხურზე**
რესურსის ტიპი	**გზამკვლევი**
მიზანი	**მოქალაქეობის მასწავლებელთა დახმარება საბაზო საფეხურზე ევროინტეგრაციის საკითხების სწავლებაში**

როდის და როგორ ვასწავლოთ ევროინტეგრაციის საკითხები?

საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი ეხება საქართველოს ინტეგრაციას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში

> მუხლი 78. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია
> კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

ევროინტეგრაციის საკითხის მნიშვნელობის გაგება განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს მაშინ, როცა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება აქტუალურია.

ევროინტეგრაციის საკითხის სწავლება შეიძლება სხვადასხვა საფეხურზე. 2022-2023 წლებში გააქტიურდა თემა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ. საზოგადოების ნაწილში მუსირებს აზრი იმის შესახებ, რომ ევროკომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციები და დათქმები სხვა არაფერია, თუ არა, კანდიდატის სტატუსზე საქართველოსთვის უარის თქმის საბაბი. ძირითადი გზავნილი, რომელიც მოსწავლეებს უნდა მიეწოდოთ, არის ის, თუ რას ემსახურება ევროკავშირის წევრობის კანდიდატობისთვის გაცემული რეკომენდაციები და დათქმები. ეს არის დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესება.

რესურსში მოყვანილია:

- პრეზენტაცია „დემოკრატიის პრინციპები“ (დანართი 1);
- ვიდეო ევროკავშირი საქართველოსთვის – 12 ნაბიჯი სტატუსამდე - YouTube
- 2022 წლის ივნისის 12 რეკომენდაცია და კომენტარები მათზე;
- ევროკომისიის 2023 წლის ნოემბრის რეკომენდაცია და დათქმები;
- საკითხები და აქტივობები ევროინტეგრაციის სწავლებისთვის საბაზო საფეხურზე.

2022 წლის ივნისის 12 რეკომენდაცია და კომენტარები მათზე

1. პოლიტიკური პოლარიზაციის საკითხის გადაჭრა პოლიტიკურ პარტიებს შორის თანამშრომლობის უზრუნველყოფის გზით 19 აპრილის შეთანხმების სულისკვეთებით.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

პარლამენტში ძალაუფლების განაწილებასთან დაკავშირებით 19 აპრილის შეთანხმებაში შემოთავაზებული იყო, რომ:

I) პარლამენტში, 5 კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა უნდა დაიკავონ საპარლამენტო ოპოზიციის წევრებმა. ამ ხუთ კომიტეტს შორის, ორი სავალდებულოდ უნდა იყოს საფინანსო-საბიუჯეტო და ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტები. დანარჩენი სამი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეც ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი იქნება, განისაზღვრება ოპოზიციასა და საპარლამენტო უმრავლესობას შორის შეთანხმებით.

II) ერთ-ერთი მუდმივი საპარლამენტო დელეგაციის თავმჯდომარე საპარლამენტო ოპოზიციის წევრი იქნება.

პარლამენტმა ცვლილებები უნდა შეიტანოს პარლამენტის რეგლამენტში.

ხუთი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარეობა გამოიწვევდა უმცირესობის მეტ ჩართულობას. საფინანსო-საბიუჯეტო და ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტების თავმჯდომარეობა მეტად უზრუნველყოფს ხელისუფლების კონტროლს ფინანსებსა და ადამიანის უფლებების დაცვაზე, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს პოლარიზაციას. დემოკრატიის პრინციპების დაცვის თვალსაზრისით გაძლიერდება პოლიტიკური პლურალიზმი.

2. უზრუნველყოფილ იქნას ყველა სახელმწიფო ინსტიტუტის სრულყოფილი მუშაობა, გაძლიერდეს მათი დამოუკიდებლობა და ეფექტიანი ანგარიშვალდებულება, ასევე მათი დემოკრატიული ზედამხედველობის ფუნქციები; კიდევ უფრო გაუმჯობესდეს საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩო, აღმოიფხვრას ყველა ხარვეზი, რომელიც ამ პროცესების დროს ეუთო/ოდირისა და ევროპის საბჭომ/ვენეციის კომისიამ გამოავლინა;

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

რეკომენდაციაში პირდაპირ არის მითითებული სახელმწიფო ინსტიტუტების დემოკრატიული ზედამხედველობის გაძლიერება.

საარჩევნო სისტემის გაუმჯობესება უზრუნველყოფს არჩევნების სამართლიანობას და გამჭვირვალობას.

19 აპრილის პოლიტიკური შეთანხმების მიხედვით საარჩევნო კოდექსში ცვლილებების მიღება გულისხმობს: i) ცესკოს თავმჯდომარე და პროფესიული წევრების არჩევის წესის ცვლილებას და მათი დასაქმების შეწყვეტას უფლებამოსილების ვადის გასვლისთანავე.

სამართლიანი, საყოველთაო, გამჭვირვალე და თავისუფალი არჩევნებიც დემოკრატიის პრინციპია.

3. მიიღოს და განახორციელოს მართლმსაჯულების რეფორმის გამჭვირვალე და ეფექტიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2021 წლის შემდგომი პერიოდისათვის, რომელიც დაეფუძნება ფართო, ინკლუზიურ და პარტიათა შორის წარმართულ საკონსულტაციო პროცესს; უზრუნველყოს, რომ მართლმსაჯულების მთელი ჯაჭვი იყოს სრულად დამოუკიდებელი, ანგარიშვალდებული და მიუკერძოებელი, ასევე დაიცვას შტოებს შორის ძალაუფლების განაწილება; სახელდობრ, უზრუნველყოს ყველა სასამართლო და საგამოძიებო ინსტიტუტის ჯეროვანი ფუნქციონირება და კეთილსინდისიერება, განსაკუთრებით უზენაესი სასამართლოსი და გადაჭრას ყველა პრობლემა, რომელიც გამოვლინდა მოსამართლეთა ნომინირების ყველა დონეზე, ასევე გენერალური პროკურორის შემთხვევაში; გაატაროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ჯეროვანი რეფორმა და დანიშნოს უმაღლესი საბჭოს დანარჩენი წევრები. ყველა ეს ზომა უნდა გატარდეს ევროპული სტანდარტებისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრული დაცვით;

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

მართლმსაჯულების რეფორმა ემსახურება კანონის უზენაესობას, რომლის 2 განზომილება (9-დან) არის სისხლის სამართალი და სამოქალაქო სამართალი. კანონის უზენაესობა კი დემოკრატიის პრინციპია. გარდა ამისა, სამართლიანი

სასამართლო ხელისუფლება კონტროლს გაუწევს ხელისუფლების დანარჩენი ორი შტოს მუშაობას. ხელისუფლების შტოებად დაყოფა და ურთიერთკონტროლი დემოკრატიის პრინციპია.

4. გააძლიეროს ანტი-კორუფციული სააგენტოს დამოუკიდებლობა, რომელიც თავს მოუყრის ყველა საკვანძო ანტი-კორუფციულ ფუნქციას; განსაკუთრებით კი, საგულდაგულოდ გადაჭრას მაღალი დონის კორუფციის შემთხვევები; აღჭურვოს ახალდაარსებული სპეციალური საგამოძიებო სამსახური და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სააგენტო იმ რესურსებით, რომლებიც მათ მანდატს შეესაბამება და უზრუნველყოს მათი ინსტიტუციური დამოუკიდებლობა;

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

კორუფციის არარსებობა კანონის უზენაესობის (დემოკრატიის პრინციპის) განზომილებაა.

5. „დეოლიგარქიზაციის“ პირობისადმი ერთგულება, რაც უნდა მიღწეული იქნას ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში კერძო ინტერესების გადაჭარბებული გავლენის აღმოფხვრის საშუალებით;

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

ამ 12-პუნქტიანი ჩამონათვალის ყველა სხვა პირობის შესრულებამ ავტომატურად უნდა გამოიწვიოს დემოკრატიულ ინსტიტუტებზე ოლიგარქიული გავლენის შემცირება.

6. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, რაც უნდა დაეფუძნოს საფრთხის დეტალურ შეფასებებს, კერძოდ, საგულდაგულო გამოძიებების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდადების სანდო გამოცდილების უზრუნველყოფის გზით; სამართალდამცველი უწყებების ანგარიშვალდებულება და ზედამხედველობა უნდა იყოს გარანტირებული;

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

რეკომენდაცია მიმართულია ადამიანის უფლებების დაცვის, გამოძიების სანდოობის ამაღლების, სამართალდამცავი უწყებების ანგარიშვალდებულებებისა და ზედამხედველობის გაუმჯობესებისკენ. ანუ დემოკრატიის პრინციპების გაძლიერებისკენ.

7. უფრო ძლიერი ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული თავისუფალი, პროფესიული, პლურალისტური და დამოუკიდებელი მედიაგარემოს უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით იმისათვის, რომ მედიის მფლობელთა წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლებრივი პროცედურები აკმაყოფილებდეს უმაღლეს იურიდიულ სტანდარტებს, და ჩატარდეს მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიებები ჟურნალისტებისა და მედიის სხვა მუშაკთა უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული მუქარების შემთხვევებზე;

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

რეკომენდაცია მიმართულია პლურალისტური გარემოს შექმნის, გამოხატვის თავისუფლებისა და სამართლიანი მართლმსაჯულების მიღწევისკენ, რაც დემოკრატიის გაძლიერებას ემსახურება.

8. სასწრაფოდ გაძლიერდეს მოწყვლადი ჯგუფების ადამიანის უფლებათა დაცვა, მათ შორის, მოძალადეების და ამ ძალადობის დამკვეთების მართლმსაჯულებისადმი უფრო შედეგიანად წარდგომის გზით;

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

ადამიანის უფლებათა დაცვა დემოკრატიის პრინციპია.

9. გაძლიერდეს ძალისხმევა გენდერული თანასწორობის ზრდისთვის და ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის წინააღმდეგ;

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

ეს რეკომენდაციაც ადამიანის უფლებათა დაცვას ემსახურება.

10. უზრუნველყოფილი იქნას სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე;

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

ეს რეკომენდაცია მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერებას ემსახურება. მონაწილეობა დემოკრატიის პრინციპია.

11. მიღებული იქნეს კანონი, რომლის თანახმადაც ქართული სასამართლოები პროაქტიულად გაითვალისწინებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენებს თავიანთ გადაწყვეტილებებში;

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

ეს რეკომენდაცია მართლმსაჯულების ხარისხის გაზრდას ემსახურება. შესაბამისად კანონის უზენაესობის გაძლიერებას.

12. უზრუნველყოფილი იქნეს, რომ სახალხო დამცველის ნომინირების პროცესში უპირატესობა მიენიჭოს დამოუკიდებელ კანდიდატს და პროცესი წარიმართოს გამჭვირვალედ; დაცული უნდა იყოს აპარატის ეფექტიანი ინსტიტუციური დამოუკიდებლობა.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

რეკომენდაცია მიმართულია ადამიანის უფლებათა დაცვის კომპონენტის და გამჭვირვალობის გაძლიერებისკენ.

დასკვნა

ყველა რეკომენდაცია ითხოვს საქართველოში დემოკრატიის გარკვეული სტანდარტის დამკვიდრებას.

ევროკავშირის 2023 წლის 8 ნოემბრის რეკომენდაცია და დათქმები

2023 წლის 8 ნოემბერს, ევროკომისიამ გასცა რეკომენდაცია საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭოს. ამასთან, გასცა 9 პირობა, რომელიც ქვეყანამ უნდა შეასრულოს, რათა წევრობაზე მოლაპარაკებები დაიწყოს.
დოკუმენტში წერია, რომ „2022 წლის ივნისში მიღწეული შედეგების საფუძველზე, 12 რეკომენდაციის ჩარჩოს ფარგლებში და მის მიღმა, კომისია რეკომენდაციას გასცემს, საქართველოს მიენიჭოს კანდიდატის სტატუსი იმ დათქმით, რომ ქვეყანა გადადგამს

შემდეგ ნაბიჯებს:

- შეებრძოლოს დეზინფორმაციას და უცხოური ინფორმაციის მანიპულაციასა და ჩარევას ევროკავშირისა და მისი ღირებულებების წინააღმდეგ.
- გააუმჯობესოს საქართველოს შესაბამისობა ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან.
- იმუშაოს პოლიტიკური პოლარიზაციის დაძლევაზე, მათ შორის, პარლამენტში ოპოზიციურ პარტიებთან უფრო მეტად ინკლუზიური საკანონმდებლო მუშაობის გზით, განსაკუთრებით საქართველოს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე.
- უზრუნველყოს თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული საარჩევნო პროცესი, განსაკუთრებით 2024 წლისთვის და სრულად შეასრულოს ეუთო/ოდირის რეკომენდაციები. დაასრულოს საარჩევნო რეფორმა, მათ შორის, ამომრჩეველთა ადეკვატური წარმომადგენლობის უზრუნველყოფა არჩევნების დღემდე ბევრად ადრე.

- დაასრულოს და განახორციელოს ჰოლისტიკური და ეფექტური სასამართლო რეფორმა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და პროკურატურის ჩათვლით, სრულად გაითვალისწინოს ვენეციის კომისიის რეკომენდაციები და ეს გააკეთოს გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესით.
- უზრუნველყოს ანტი-კორუფციული ბიუროს, სპეციალური საგამოძიებო სერვისის და მონაცემთა დაცვის სამსახურის ინსტიტუციური დამოუკიდებლობა. გაითვალისწინოს ვენეციის კომისიის რეკომენდაციები ამ უწყებებთან დაკავშირებით. შექმნან ძლიერი გამოცდილება კორუფციული საქმეებისა და ორგანიზებული დანაშაულის გამოძიებაში.
- გააუმჯობესოს მოქმედი სამოქმედო გეგმა, რათა განახორციელოთ მულტი-სექტორული, სისტემური მიდგომა დეოლიგარქიზაციის წინააღმდეგ, გაითვალისწინეთ ვენეციის კომისიის რეკომენდაციები და ეს გააკეთეთ გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესით, ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით.
- გააუმჯობესოს ადამიანის უფლებათა დაცვა, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ამბიციური სტრატეგიის შექმნით და უზრუნველყავით შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება.
- დაიწყოს მოწყვლადი ჯგუფების, მედიაპროფესიონალებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიმართ მუქარის ფაქტებზე მიუკერძოებელი, ეფექტური და დროული გამოძიების და ძალადობის ორგანიზატორებისა და დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემა. გამართოს კონსულტაციები სამოქალაქო საზოგადოებასთან, უზრუნველყოს მათი ჩართულობა კანონშემოქმედებით და პოლიტიკის შემუშავების პროცესში, ასევე, უზრუნველყოს მათი თავისუფლად მუშაობა.

ზემოთ მოყვანილი 9 დათქმიდან, პირველი დათქმა ეხება ევროპული ღირებულებების დაცვას. მეორე - საქართველოს შესაბამისობას ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან. ხოლო დანარჩენი შვიდი ეხება პოლარიზაციის დაძლევას, თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფას, სასამართლოს რეფორმას, კორუფციასთან ბრძოლას, დეოლიგარქიზაციას, ადამიანის უფლებების დაცვას, დროულ და ეფექტურ გამოძიებას მოწყვლადი ჯგუფების, მედიაპროფესიონალებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიმართ მუქარის ფაქტებზე.

დასკვნა

დათქმების შესრულება გაზრდის დემოკრატიის ხარისხს საქართველოში.

საკითხები და აქტივობები ევროინტეგრაციის სწავლებისთვის საბაზო საფეხურზე.

მიზანი

მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ ევროკავშირი წევრი/წევრობის კანდიდატი ქვეყნებისგან ითხოვს დემოკრატიის გარკვეული სტანდარტის დაკმაყოფილებას.

ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული მიმდინარე საკითხების განხილვა საბაზო

საფეხურის სხვადასხვა თემის სწავლებისას არის შესაძლებელი.

მე-7 კლასი

თემა: თემი, რომელშიც ვცხოვრობ

აღნიშნულ თემაში განიხილება ტოლერანტობის საკითხი. მასზე მუშაობის ბოლოს მოაწყვეთ დისკუსია.

სადისკუსიო კითხვები:

1. რა მოხდება თემში, თუ განსხვავებული შეხედულებების გამო მოსახლეობა ერთმანეთს დაუპირისპირდა და არ შეეცადა მიეღწია შეთანხმებისთვის?
2. რამდენად ვრცელდება მოსწავლეთა შეხედულება ქვეყნის მასშტაბზე?

ამის შემდეგ მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ სახელმწიფოს კურსი არის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაერთიანება და, მათ შორის, ევროკავშირში შესვლა. ამისათვის გარკვეული პირობების დაკმაყოფილებაა საჭირო. ეს პირობები კი დემოკრატიის გაძლიერებას ემსახურება. აკეთებს კომენტარს, რომ პოლიტიკური ტოლერანტობა დემოკრატიის პრინციპია. მიმდინარე პოლიტიკური დაპირისპირება, რომელშიც არ ხდება შეთანხმების გზების ძიება, იწვევს პოლიტიკურ პოლარიზაციას. ამის დაძლევისკენ მოუწოდებს ევროკომისია საქართველოს.

ეს ეპიზოდი მონაწილეობს ორი ცნების დამუშავებაში: დემოკრატია და საზოგადოება.

თემა: სასკოლო გარემო

აღნიშნულ თემაში განიხილება საკითხი დემოკრატიული სკოლა ან სასკოლო თვითმმართველობა, რომლის დამუშავების შემდეგ (სავარაუდოდ),სკოლის საჭიროებების გამოვლენის შედეგად, მოსწავლეები პრაქტიკულ სამუშაოსაც შეასრულებენ. ამის შემდეგ, კარგი იქნება, თუ მოსწავლეები შეასრულებენ ჯგუფებში შემდეგ დავალებას: წარმოიდგინეთ, რომ უკვე სრულწლოვანი ბრძანდებით. რა საკითხის გადაწყვეტაში ისურვებდით მონაწილეობის მიღებას როგორც მოქალაქე? პრეზენტაციების შემდეგ მასწავლებელი აკეთებს კომენტარს, რომ მონაწილეობა დემოკრატიის პრინციპია. საზოგადოება თუ პასიურია, იქ დემოკრატიის ხარისხიც დაბალია. საზოგადოების ჩართულობის გაძლიერებისკენ მოუწოდებს ევროკომისია საქართველოს თავის დათქმებში.

ეს ეპიზოდი მონაწილეობს სამი ცნების დამუშავებაში: მონაწილეობა, დემოკრატია და

საზოგადოება.

მე-8 კლასი

თემა: სამოქალაქო საზოგადოება

თემის დასრულების შემდეგ მასწავლებელი აკეთებს მოკლე კომენტარს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებულ მიმდინარე მდგომარეობაზე და ევროკომისიის დათქმებზე. ის ყოფს მოსწავლეებს შესაბამის ჯგუფებად და აძლევს დავალებას: ჯგუფებში წაიკითხონ ცხრა დათქმის ტექსტი და აღნიშნონ ის პუნქტები, რომლებიც

ა) ეხება საზოგადოების და მოქალაქეების ჩართულობის გაძლიერებას.

ბ) ეხება მედიას.

ც) ეხება სასამართლოს

თითოეულმა ჯგუფმა უნდა განმარტოს შესაბამისი პუნქტების შინაარსი.

შენიშვნა: თუ რომელიმე საკითხი არ იყო განხილული თემის სწავლებისას, იმ პუნქტებს არ განიხილავენ.

პრეზენტაციის შემდეგ მასწავლებელი ხაზს უსვამს იმას, რომ ამ პირობების შესრულება გაზრდის დემოკრატიის ხარისხს საქართველოში.

ეს ეპიზოდი მონაწილეობს სამი ცნების დამუშავებაში: მონაწილეობა, დემოკრატია და საზოგადოება.

მე-9 კლასი

თემა: ცენტრალური ხელისუფლება

აღნიშნული თემის სწავლებისას განიხილება ორი საკითხი, რომლებსაც ებმის კანდიდატის სტატუსის დათქმები. ესენია: ადამიანის უფლებები და არჩევნები. ადამიანის უფლებების საკითხის გავლის შემდეგ, მასწავლებელი აძლევს მოსწავლეებს ინდივიდუალურ დავალებას 1:

თქვენ იცით, რომ ხელისუფლების ქმედებები ადამიანის უფლებების დაცვაზე უნდა იყოს დაფუძნებული. ხომ არ გახსენდებათ ადამიანის უფლებათა დარღვევის მაგალითი?

ამ დავალების საერთო განხილვა არ ხდება.

მასწავლებელი აკეთებს მოკლე კომენტარს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებულ მიმდინარე მდგომარეობაზე და ევროკომისიის დათქმებზე და აძლევს შესასრულებლად მეორე დავალებას.

დავალება 2 (ჯგუფური)

მოძებნეთ დათქმების ტექსტში ის პუნქტები, რომლებიც ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერებას ეხება. ეხმიანება თუ არა რომელიმე თქვენ მიერ წინა დავალებაში მოყვანილ მაგალითს?

პრეზენტაციის შემდეგ მასწავლებელი ხაზს უსვამს იმას, რომ ამ პირობების შესრულება გაზრდის დემოკრატიის ხარისხს საქართველოში.

ეს ეპიზოდი მონაწილეობს სამი ცნების დამუშავებაში: მონაწილეობა, დემოკრატია და საზოგადოება.

არჩევნების საკითხის გავლის შემდეგ გამართეთ დისკუსია. სადისკუსიო თემა: რა არის საჭირო სამართლიანი, თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნების ჩასატარებლად. მოსწავლეების მიერ გამოთქმულ ძირითად მოსაზრებებს მასწავლებელი მოკლედ წერს დაფაზე. შემდეგ აკეთებს მოკლე კომენტარს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებულ მიმდინარე მდგომარეობაზე და ევროკომისიის დათქმებზე და აცნობს დათქმების იმ პუნქტებს, რომლებიც არჩევნების პროცესის გაუმჯობესებას ეხება. ხაზს უსვამს იმას, რომ ამ პირობების შესრულება გაზრდის დემოკრატიის ხარისხს საქართველოში.

ეს ეპიზოდი მონაწილეობს სამი ცნების დამუშავებაში: მონაწილეობა, დემოკრატია და საზოგადოება.

დემოკრატიის პრინციპები

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2023

დემოკრატიის პრინციპები

მონაწილეობა

1. არჩევნებში მონაწილეობა;
2. სხვადასხვა ჯგუფში გაერთიანება;
3. პეტიციებზე ხელმოწერა;
4. პოლიტიკოსებისთვის წერილის მიწერა;
5. სხვადასხვა საზოგადოებრივ შეკრებასა და მშვიდობიან აქციაში მონაწილეობა.

დემოკრატიის პრინციპები

ანგარიშვალდებულება

პოზიტიური ემოციები

გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, სანდოობა, სიცხადე, მიკუთვნებულობა, მნიშვნელოვანი მონაცემები, მოტივაცია.

ნეგატიური ემოციები

პასუხისმგებლობა, განტევების ვაცი, შიში, გააზრება, შფოთვა, ბრალდება, დასჯა.

დემოკრატიის პრინციპები
კანონის უზენაესობის 9 განზომილება

- მთავრობის ძალაუფლების შეზღუდვა
- კორუფციის არარსებობა
- მთავრობის გახსნილობა
- ფუნდამენტური უფლებები
- წესრიგი და უსაფრთხოება
- ძალის ნორმატიული გამოყენება
- სამოქალაქო სამართალი
- სისხლის სამართალი
- არაფორმალური სამართალი

დემოკრატიის პრინციპები

ძალის ბოროტად გამოყენების კონტროლი

ხელისუფლების შტოების მიერ;
კანონმდებლობის მიერ;
მოქალაქეების მიერ.

ადამიანის უფლებები

ადამიანის სიცოცხლისა და ღირსების დაცვა

თანასწორობა

თანაბარი შესაძლებლობები და მართლმსაჯულების უფლებები

დემოკრატიის პრინციპები

რეგულარული, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები

მრავალპარტიული სისტემა

პოლიტიკური ტოლერანტობა

ეკონომიკური თავისუფლება

გამჭვირვალობა